

დამტკიცებულია:

კოლეჯის დირექტორის ბრძანება № 165 „ო“ 30 დეკემბერი 2024 წ



**სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პერსონალის სამუშაო აღწერილობა,
ფუნქცია მოვალეობები და ორგანიზაციული სტრუქტურა**

სარჩევი

დირექცია.....	3
1. კოლეჯის დირექტორი	3
2. დირექტორის მოადგილე.....	7
ადმინისტრაცია.....	11
3. მთავარი ბუღალტერი.....	11
4. ხარისხის მართვის მენეჯერი	14
5. სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.....	18
6. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	21
7. იურისტი	24
8. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.....	28
9. შესყიდვების სპეციალისტი.....	31
10. ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი	35
11. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.....	38
12. საქმისმწარმოებელი.....	41
13. ქსელის ადმინისტრატორი	44
14. ბიბლიოთეკარი.....	48
15. რეესტრის წარმოების სპეციალისტი	51
ტექნიკური პერსონალი	55
16. ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიის კოორდინატორი.....	55
17. მძღოლი ლოჯისტიკი.....	58
18. დამხმარე თანამშრომელი	61
19. მედდა	63
20. ცეცხლფარეში.....	66
21. დამლაგებელი.....	69
22. დარაჯი.....	71
23. მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი)	74
ხელშეკრულებით მომუშავე პირები.....	77
24. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.....	77
ორგანიზაციული სტრუქტურა	81

1. კოლეჯის დირექტორი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

1. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	დირექტორი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	დირექცია
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებთან
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	26
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	კოლეჯის სამტატო განრიგით და ხელშეკრულებით დაქირავებული პერსონალი

2. სამუშაოს მიზანი:

კოლეჯის დირექტორის მოვალეობაა კოლეჯის მართვა, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, კოლეჯის წესდების, საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

3. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

დირექტორი:

- ახორციელებს კოლეჯის მართვას საჯაროობის და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად;
- უზრუნველყოფს ხელშეკრულებების/მემორანდუმების დადებასა და შესრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის წესდების პროექტს;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას;
- ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და სხვა სახის თანამშრომლობის მიზნით;
- კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად;
- ხელს უწყობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, პროფესიულ სტუდენტთა სამეწარმეო განათლებასა და სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების გამოყენებას;
- უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა; შეფასების საფუძველზე უზრუნველყოფს მათ წახალისებას ან მიმართავს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

- საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;
- ამტკიცებს კოლეჯის ბიუჯეტსა და შინაგანაწესს;
- ეფექტიანად წარმართავს/განკარგავს კოლეჯის ადამიანურ/ფინანსურ/მატერიალურ რესურსებს და ხელს უწყობს აღნიშნული რესურსების განვითარებას;
- ქვეყნისა და რეგიონის განვითარების ტენდენციების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებითა და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯის განვითარების მოკლევადიან/გრძელვადიან სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს; კოორდინაციას უწევს გეგმების/პროექტების/ინიციატივების განხორციელებას;
- სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს კოლეჯის საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;
- ანაწილებს მოვალეობებს კოლეჯის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, ზედამხედველობას უწევს კოლეჯის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებულ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არაუგვიანეს ყოველი წლის თხუთმეტი თებერვლისა, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წერილობით წარუდგენს გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ზედამხედველობს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და ზრუნავს კოლეჯის კონკურენტუნარიანობასა და მის პოპულარიზაციაზე;
- ასრულებს კოლეჯის მართვის ორგანოების ფუნქციებს რეორგანიზებული კოლეჯის პირველი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა არასაკმარის რაოდენობამდე შემცირების შემთხვევაში;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შერჩევის მიზნით;
- წელიწადში ორჯერ, მეორე და მეოთხე კვარტალის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში წარუდგენს ანგარიშს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს კოლეჯის განვითარებასთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან, აპლიკანტთა ჩარიცხვასთან, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით;
- განსაზღვრავს საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;
- სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის ფუნქციონირების მიზნით განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთა თანამდებობათა დასახელებებს, რაოდენობებსა და სახელფასო ფონდს;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება (ბაკალავრი)
სამუშაო გამოცდილება	სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 2 წლისა, დამატებით მოთხოვნებს ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
კომპეტენცია	მართოს კოლეჯი კანონმდებლობის შესაბამისად: • „საქართველოს კონსტიტუცია“; • „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; • „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს

	კანონი; • „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონი; • „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი; • „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი; • „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი; • პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილება; • „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 და მისი 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ • საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N446 დადგენილება (პროფესიული განათლების მიმართულება); • „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული კოლეჯის (გარდა კერძო სექტორთან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამონაწილეობით დაფუძნებული, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული კოლეჯისა) დირექტორისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაფუძნებული კოლეჯის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 11 აპრილის N87/ნ ბრძანება; • „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანება; • „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი).
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი; • საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი; • სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი; • პროექტების მართვის უნარი; • თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი; • გუნდის განვითარების უნარი; • პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი. • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.

ენები	- ქართული - ძალიან კარგად - ინგლისური - B1
5. უფლებები	
- საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი – ბრძანება; - წარმოადგინოს კოლეჯი მესამე პირებთან ურთიერთობებში; - მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; - ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით;	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	- ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა მესამე პირებთან ურთიერთობაში; - ადმინისტრაციული აქტი ბრძანებები
6. პასუხისმგებლობა	
- კოლეჯის მართვაზე და კოლეჯში მიმდინარე პროცესებზე; - მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; - ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; - საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; - დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; - საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა; - პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
7. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	- სამუშაო მაგიდა; - პერსონალური კომპიუტერი; - საკანცელარიო საშუალებები; - სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); - დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); - საწვავი; - მობილურის ლიმიტი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024 წ
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	

დასაქმებული: _____ (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	თარიღი: _____
დამსაქმებელის ხელმოწერა: _____ (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	თარიღი: _____

2. დირექტორის მოადგილე

დანართი 1	დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N -----
-----------	---

8. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	დირექტორის მოადგილე
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	დირექცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	კოლეჯის დირექტორთან
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	26 (კოლეჯის დირექტორის არ ყოფნის დროს)
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

9. სამუშაოს მიზანი:

დირექტორის მოადგილე ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მუშაობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელების მიზნით. დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის ყველა ფუნქცია მოვალეობას.

10. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

დირექტორის მოადგილე ფინანსურ და მატერიალურ დარგში:

- განიხილავს და ანაწილებს კორესპონდენციას მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებზე;
- ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მუშაობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის

განხორციელების მიზნით;

- დირექტორთან და მთავარ ბუღალტერთან კოორდინაციით ხელმძღვანელობს კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენას;
- კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებაში და შემდგომ მის განხორციელებაში;
- ხელმძღვანელობს და აკონტროლებს კოლეჯის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებს;
- ზედამხედველობს კოლეჯის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს;
- მონაწილეობას იღებს კვარტალური ანგარიშების შედგენის პროცესში;
- ახორციელებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსით სარგებლობის ხელმისაწვდომობის კონტროლს;
- ახორციელებს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს;
- უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი მიწოდების კონტროლს;
- აკონტროლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ადაპტირებულ სასწავლო რესურსთან წვდომას მათი მოთხოვნილებების შესაბამისად;
- ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
- მონაწილეობას იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში;
- ახორციელებს სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების განხორციელების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას;
- ბუღალტერთან კოორდინირებით უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრალობის ობიექტურ შეფასებას და ახორციელებს სათანადო რეაგირებას შეფასების შედეგებზე;
- კოლეჯის პერსონალის შემდგომი განვითარების მიზნით, წელიწადში ორჯერ აწარმოებს პერსონალის საჭიროებების, მოთხოვნებისა და კმაყოფილების კვლევას;
- კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავებაში და აფასებს მათი ფინანსური რესურსით განხორციელების მდგრალობას;
- დირექტორთან ერთად განიხილავს თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს;
- ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია კურსდამთავრებულებისთვის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დამზადებაზე და მათ სისიწორეზე;
- ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ დელეგირებულ და სხვა უფლებამოსილებებს;
- ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

11. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	სამუშაო გამოცდილება დაგეგმვასა და მართვაში არანაკლებ 1 წლისა, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; • „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი; • „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი; • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №99/ნ „, პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და

	მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ • „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი; • პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილება; • „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი). • ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • თანამდებობის შესაბამისი სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ცოდნა.
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული კარგად; • ინგლისური -B1 სასურველია
12. უფლებები	
• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა; • კანონით განსაზღვრული დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, პერსონალთან და მესამე პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.
13. პასუხისმგებლობა	
• სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე და დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი, კანონით დადგენილი, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე. • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე;	

- საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე;
- დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე;
- საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შეუსრულებლობა;
- პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.

14. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო ოთახი • სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • კოლეჯის მორიგე ავტომობილი • მობილურის კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2025 წ
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----
დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----

3. მთავარი ბუღალტერი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

15. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	მთავარი ბუღალტერი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	კოლეჯის დირექტორთან
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

16. სამუშაოს მიზანი:

მთავარი ბუღალტერი წარმართავს და პასუხისმგებელია კოლეჯის ფინანსურ საქმიანობაზე, ადგენს ორგანიზაციის ბალანსს და დადგენილ ვადებში წარუდგინს მაკონტროლებელ ორგანოს, უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, აწარმოებს კოლეჯის შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშებას კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- აკონტროლებს და პასუხისმგებელია კოლეჯის შემოსავლების მიზნობრივ ხარჯვაზე;
- პასუხისმგებელია სახაზინო, საგადასახადო და შესაბამის სამსახურებში საფინანსო/საბუღალტრო დოკუმენტაციის დროულ შედგენასა და წარდგენაზე;
- პასუხისმგებელია ორგანიზაციის ბალანსის შედგენასა და დადგენილ ვადებში მაკონტროლებელი ორგანოსათვის წარდგენაზე;
- უზრუნველყოფს საგადასახადო პორტალზე **RS.GE**-ზე მუშაობას;
- უზრუნველყოფს ელექტრონული ხაზინის პროგრამაში (**etreasury.ge**) მუშაობას;
- უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტაციის დროულ გაფორმებას და პასუხისმგებელია განხორციელებული საბუღალტრო ოპერაციების სისწორეზე;
- ახორციელებს დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;
- უზრუნველყოფს თანამშრომელთა ხელფასების/სხვა გასაცემი თანხების დროულ გადარიცხვას;
- ახორციელებს ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგების დროულ გამოვლენას და ფინანსურ დოკუმენტებში აღნიშნული შედეგის დროულ ასახვას;
- უზრუნველყოფს ბუღალტრული ანგარიშების შედგენას და დადგენილ ვადებში შესაბამის

ორგანოებში წარდგენას (ფინანსთა სამინისტროს გვერდზე ebudget.ge);

- უზრუნველყოფს, საქართველოს სტატისტიკურ სამსახურისთვის(geostat), კოლეჯში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზრაურების შესახებ ინფორმაციის წარდგენას ყოველ კვარტალში;
- უზრუნველყოფს ბუღალტრული დოკუმენტების სათანადო წესით აღრიცხვას;
- დირექტორთან ერთად უზრუნველყოფს ბუღალტრული დოკუმენტაციის ხელმოწერას, რაც დაკავშირებულია საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯთაღრიცხვების შედგენასთან, საბანკო ოპერაციებთან;
- უზრუნველყოფს თვითშეფასების განაცხადით წარსადგენი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენას დირექტორის მოადგილესთან ერთად;
- აკონტროლებს საოპერაციო ხარჯების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას;
- დირექტორის მოადგილესთან კოორდინირებით ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელებას;
- უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ფინანსური ანგარიშების დროულ განთავსებას;
- კოლეჯის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან კოორდინირებით უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულება დირექტორთან;

18. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი ან პროფესიული განათლება ბუღალტრულ აღრიცხვაში
სამუშაო გამოცდილება	სასურველია ბუღალტრული საქმიანობის სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა.
კომპეტენცია	• სახაზინო და საბანკო ოპერაციების წარმოება, • საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა და შესრულება. • იცნობს და იყენებს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციას (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №108 2020 წლის 5 მაისი და მასში შეტანილ ცვლილებებს); • იცის და იყენებს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქცია“ ინსტრუქციას (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული და და მასში შეტანილ ცვლილებებს); • ელექტრონული საბუღალტრო პროგრამების ცოდნა და გამოყენება.
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის)

	მომზადების უნარი.
ენები	- ქართული - კარგად - ინგლისური - საბუღალტრო ტერმინოლოგიის დონეზე
19. უფლებები	
- მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; - მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; - ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	- ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა; - ბუღალტრულ დოკუმენტებზე ხელმოწერა
20. პასუხისმგებლობა	
- საბუღალტრო საქმიანობის სისწორეზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე; - მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; - პასუხისმგებელია ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობაზე; - პასუხისმგებელია კოლეჯის შემოსავლების მიზნობრივ ხარჯვაზე; - ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; - საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ფინანსური საქმიანობისთვის განკუთვნილი, სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; - დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; - საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა; - პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
21. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	- სამუშაო მაგიდა; - პერსონალური კომპიუტერი; - საკანცელარიო საშუალებები; - საბუღალტრო დოკუმენტაციის შესაბამისი სათავსოები (კარადები ან სხვა) - სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი); - დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); - მობილურის კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	

სამუშაო თარიღი	აღწერილობის შედეგის	25.12.2024 წ
სამუშაო თარიღი	აღწერილობის განახლების	
დასაქმებული:		თარიღი:
-----		-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)		
დამსაქმებელის ხელმოწერა:		თარიღი:
-----		-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)		

4. ხარისხის მართვის მენეჯერი

დანართი 1	დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N -----
-----------	---

22. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	ხარისხის მენეჯერი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი, დ/მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

23. სამუშაოს მიზანი:

ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხსა და მის განვითარებაზე, განიხილავს მასთან შემოსულ კორესპონდენციას, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის პასუხებს;

24. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

ხარისხის მართვის მენეჯერი:
- უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესის დაგეგმვას; - უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას;

- უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას;
- უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების შესახებ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირის, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურების, მათ შორის სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას;
- უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
- ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას/კვალიფიკაციის ამაღლებას, (ტრენინგი/მასტერკლასები/ განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა) კარიერულ წინსვლას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურებას;
- ახდენს, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას, მათ შეგროვებასა და ანალიზს;
- ამზადებს სტანდარტთან თავსებადობის შესახებ შესაბამის ანგარიშებს;
- საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში გეგმავს, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამების შემდგომი სრულყოფის/განვითარების მიზნით;
- ახორციელებს კოორდინაციას და მონაწილეობს სხვადასხვა კვლევებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამ(ებ)ის მიზანშეწონილობის დასადგენად;
- უზრუნველყოფს სტანდარტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების/სამოქმედო/გაუმჯობესების გეგმის შემუშავებას;
- სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში - შესრულების არსებული დონის შენარჩუნების, ასევე პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშების პროცესში;
- შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მის ადაპტირებას არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში;
- ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის ციკლის - "დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება" უწყვეტობას;
- განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დასწრების ოქმებს მოდულის/შედეგის შიდა შეფასებისათვის);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
- უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის წლიურ განახლებას;
- განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიცირების პერიოდებს;
- უზრუნველყოფს კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშის შევსების ორგანიზებას და პროცესების კოორდინირებას;

- კოორდინაციას უწევს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესებს;
- უზრუნველყოფს დაწესებულებაში სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებულ მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს და შეფასებას;
- ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციის და ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვის ფარგლებში.
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორთან;
- ხარისხის მართვის მენეჯერის უფლებამოსილების შეწყვეტის ან განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული პირი.

25. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა; • ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის ცოდნა. • პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ცოდნა; • საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ • თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა;
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად • ინგლისური - B1 სასურველია

26. უფლებები

- მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები;
- მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;
- ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა; • დამოწმების მიზნით კოლეჯის შიდა დოკუმენტაციაზე ხელმოწერა კომპეტენციის ფარგლებში.
27. პასუხისმგებლობა	
• კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობით, მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაზე; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობაზე; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
28. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • მობილურის კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული: _____ თარიღი: _____ (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	
დამსაქმებელის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____ (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	

5. სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

29. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი, დ/მ და ხარისხის მართვის მენეჯერი
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

30. სამუშაოს მიზანი:

ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე, პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე.

31. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასა და კოორდინირებას;
- ადგენს სალექციო განრიგს (სასწავლო ცხრილებს) და ახორციელებს მათ მიმდინარეობაზე ზედამხედველობას;
- ორგანიზებას უკეთებს სწავლებასა და ახალი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას;
- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში;
- შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების პროექტებს;
- ორგანიზებას უწევს ცალკეული სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების პროცესს, შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესს;
- ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის სრულყოფილებას და ადასტურებს ხელმოწერით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე პერიოდულად აწყობს ინფორმატიულ შეხვედრებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და აძლევს რეკომენდაციებს და მითითებებს;
- კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებს აცნობს ყველა იმ სიახლესა და ცვლილებას, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას;
- სასწავლო პროცესში ამოწმებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას (აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

- განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს);
- წარადგენს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო მასალების მოთხოვნას, წერილობითი ფორმით, სასწავლო ჯგუფების მიხედვით;
 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის შესაბამისად გონივრულ ვადაში ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დასამტკიცებლად წარდგენას დირექტორთან;
 - სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
 - უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ;
 - საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კომპეტენციის ფარგლებში;
 - აკონტროლებს, პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობას;
 - ამზადებს სამსახურებრივ ბარათს კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრი შემცირების გამო, ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელური ჯგუფების გაერთიანების შესახებ;
 - აწარმოებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ყოველდღიურ დატვირთვას, არეგულირებს სასწავლო ცხრილებს;
 - ადგენს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს მასწავლებელთა ტარიფიკაციას;
 - განსაზღვრავს სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებს;
 - მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) შეგროვებაში;
 - კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიერ შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს;
 - კოლეჯის ადმინისტრაციას წარუდგენს ანგარიშს სწავლების პროცესში არსებული მდგომარეობის თაობაზე;
 - მონაწილეობას იღებს კოლეჯის მისიის, ღირებულებების, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;
 - მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში;
 - ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ დელეგირებულ და სხვა უფლებამოსილებებს;
 - სასწავლო პროცესის მენეჯერის უფლებამოსილების შეწყვეტის ან განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული პირი;
 - ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე, გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციას აწვდის კოლეჯის დირექტორს წერილობითი ანგარიშის სახით.

32. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	სასწავლო პროცესის მართვის სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლი, სასურველია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა • შეფასების სისტემის ცოდნა; • იცის „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ განათლების მინისტრის ბრძანება №67/6 2020 წლის 30 ივნისი; • იცის „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული

	წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” განათლების მინისტრის ბრძანება №159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი; • იცნობს „პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსს“ ბრძანება №161/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი; • აქვს ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის ცოდნა.
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
33. უფლებები	
• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა; • დაამოწმოს მის მიერ შედგენილი შიდა მოხმარების დოკუმენტები.
34. პასუხისმგებლობა	
• სასწავლო პროცესის სრულყოფილ წარმართვაზე; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შეუსრულებლობა; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
35. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი;

ბენეფიტები	• საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • ისარგებლოს მორიგე ავტომობილით • მობილურის კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----
დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----

6. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

36. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

37. სამუშაოს მიზანი:

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფორიენტაციასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია მართვა და მონიტორინგი, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესწავლა,

38. პირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერული განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, სამოქმედო გეგმის მომზადება;
- მონაწილეობას იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში;
- დაეხმაროს ბენეფიციარებს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში;
- გააცნოს ბენეფიციარებს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები, რომელსაც იგი უყენებს დასაქმებულს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი;
- ბენეფიციარებს გაუწიოს კონსულტაცია და დაეხმაროს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში.
- პროფორიენტაციის ფარგლებში, ბენეფიციარებისთვის, სხვადასხვა დარგის ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა;
